

---

## იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ვალერი ხრუსტალი (რედ.), თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი (ჯისიაი), 2003, 348

თენგიზ ლილუაშვილმა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. კოლეგები სამართლიანად უწოდებენ მას ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებელს. თუმცა მის კვლევათა სფერო სამართლის მხოლოდ ამ დარგით არ შემოიფარგლება – აღსანიშნავია თენგიზ ლილუაშვილის სამეცნიერო ნაშრომები კანონიერებისა და მართლწესრიგის, ეკონომიკისა და სამართლის თანაფარდობის, სამართლის როლისა და დანიშნულების შესახებ. ამასთან, თენგიზ ლილუაშვილის სახელი, გარდა ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისა, უდიდეს პედაგოგიურ ღვაწლს უკავშირდება. იგი აქტიურად მონაწილეობს იურისტთა ახალი თაობების აღზრდაში და ავტორია სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის სახელმძღვანელოებისა.

თენგიზ ლილუაშვილს, აგრეთვე, დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სამართლის რეფორმირებაში. ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად იგი მონაწილეობდა ისეთი ფუძემდებლური კანონების შემუშავებაში, როგორებიცაა: ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, კანონი „მენარმეთა შესახებ“, სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვ.

კრებული, რომელიც ქართველ და გერმანელ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომებს აერთიანებს, თენგიზ ლილუაშვილის 75 წლის იუბილეს ეძღვნება. სტატიათა უმრავლესობა განეკუთვნება სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგებს, თუმცა გვხვდება ნაშრომები საკონსტიტუციო სამართლის სფეროშიც. კრებულის თემატიკა მრავალფეროვანია და გვთავაზობს სამართლის სხვადასხვა აქტუალური საკითხის ანალიზს როგორც ქართული, ისე ევროპული კავშირის, გერმანიისა და აშშ-ის სამართლის მიხედვით.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, ავტორთა ჯგუფის შემადგენლობა – კრებული გვთავაზობს როგორც ღვაწლმოსილი, ისე ახალგაზრდა მეცნიერების ნაშრომებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოსამართლეთა, როგორც პრაქტიკოს იურისტთა, თვალთ დახატული სამართლებრივი პრობლემები, მითუმეტეს, რომ საზოგადოებისათვის, როგორც წესი, ნაკლებად ხელმისაწვდომია მათი სამეცნიერო შრომები. გერმანელი ავტორების სტატიები კრებულში გამოქვეყნებულია ორიგინალის ენაზე, რომელთაც ერთვის თარგმანები.

მისასალმებელია გამოცემა ასეთი სახის კრებულისა, რომელმაც, ერთი მხრივ, სათანადოდ დააფასა და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თენგიზ ლილუაშვილის ღვაწლი ქართული სამართლის განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ, წვლილი შეიტანა სამართლის ცალკეული საკითხების შემდგომ შესწავლა-დამუშავებაში.

ნინო ჩოხელი

**ნიკოლოზ რურუა, თავისუფლების კანონი,**

თბილისი (რუსთავი 2 პრინტი), 2003, 326, ISBN 99940-739-2-3

„თავისუფლების კანონი“ არის ავტორის პირველი ნაშრომი, რომელიც წიგნის სახით გამოიცა, თუმცა ეს არ არის მისი პირველი მცდელობა – საზოგადოებისათვის გაეცნო ისეთი დასავლური ღირებულებების არსი, როგორებიცაა: თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თანასწორუფლებიანობა, თანაცხოვრების წესები სამოქალაქო საზოგადოებაში, უფლებებისა და პასუხისმგებლობის ნამდვილი მნიშვნელობა. ამ და სხვა საკითხებზე მკითხველს ასევე შეეძლო შეეტყო გაზეთ „24 საათის“ სამართლის დამატების პუბლიკაციებიდანაც.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „თავისუფლების კანონი“ – კრებული, რომელიც თავს უყრის ავტორის თარგმანებს, ესეებსა და პუბლიცისტიკას – ერთგვარ გზისმკვლევად გვევლინება თანამედროვე დასავლური დემოკრატიითა და მისი ისტორიით დაინტერესებულთათვის. ამავე დროს, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, განსხვავებული კუთხით დაინახოს და შეაფასოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში მომხდარი ფაქტები და მიღებული გადაწყვეტილებები.

კრებული, რომელიც პირობითად სამ ნაწილად იყოფა, აერთიანებს თარგმანებს (დემოკრატია, თავისუფლება, კანონი), პუბლიცისტიკასა და სასამართლო პრეცედენტების მიმოხილვას (ინდივიდუალურ უფლებათა იურისპრუდენცია).

სიმორ მარტინ ლიქსეტი, კლარენს დეროუ, სამუელ ჰანთინგტონი, მარიო სოარესი, ბრონისლავ გერემეკი, რობერტ პასტორი, ლარი დაიმონდი, აირა გლასერი, როსკო პაუნდი... – შესაძლოა, დღეს საქართველოში არცთუ ისე ცნობილი სახელებია, მაგრამ მათი ნაშრომები საკმაოდ დაფასებულია დასავლეთში. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ლიბერალური დემოკრატიის დღევანდელი ღირებულებების გააზრებასა და ფორმირებაში. აღნიშნული მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ცნობილ სტატიათა თარგმანები, რომელთაც ავტორი გვთავაზობს, უდავოდ მნიშვნელოვანია საქართველოში დემოკრატიის განვითარების, სამართლებრივი თვითშეგნების დამკვიდრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხსენებულ საკითხებზე ჩვენი საზოგადოების წარმოდგენები დღეს ბუნდოვანი და დამახინჯებულია, ამდენად, წინამდებარე კრებული წმინდა ინფორმაციული თვალსაზრისითაც მეტად სასარგებლოა.

კრებულში აგრეთვე მოცემულია ავტორისეული ხედეა კანონის, მისი უზენაესობის, სწორი პოლიტიკის, არჩევითობის შესახებ, ადამიანის უფლებებისა და საქართველოში არსებულ სხვა აქტუალურ საკითხებზე. „დასავლეთისაკენ ჩვენი ლტოლვა, თავისთავად, მისასალმებელი მოვლენაა, თუ მას რეალური ცვლილებების წინაპირობად ჩავთვლით და არა ფუჭ სიტყვებად, რომლებიც მხოლოდ ძლიერი ფრთის ქვეშ შეყუჟვის პარაზიტულ სურვილს გასთქვამს“ – ძნელია არ დაეთანხმო ავტორის ამ სიტყვებს. მართლაც, ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების შემოღება თვითმიზანი ხომ არ არის. ქალაქზე დაწერილი კანონები, ხმამაღალი განცხადებები ასეთებადვე დარჩებიან, თუ არ მოხდა მათი არსობრივი გააზრება და ვინმემ არ იზრუნა მათ სრულყოფასა და ცხოვრებაში გატარებაზე.

კრებულის მესამე ნაწილი (ინდივიდუალურ უფლებათა იურისპრუდენცია) ეთმობა ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს სასამართლო პროცესებს, გადაწყვეტილებებს, რომლებიც სამართლის წყარო გახდა და გადამწყვეტი როლი შეასრულა დღევანდელი ამერიკის თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ფორმირებაში. აგრეთვე, ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს ვაცლავ ჰაველის სასამართლო პროცესებს, უკვე ისტორიულად მნიშვნელოვანი პერიპეტეიებით, ხოლო წიგნის ბოლოში თავმოყრილი პატრიკ ჰენრის, ტომას პეინის, ტომას ჯეფერსონის, ჯონ ადამსის, ჯეიმს მედისონის, ჩეზარე ბეკარიას, ლუის ბრენდაისის, ბენჯამინ

## **იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა**

---

კარდოზოს, ლერნდ ჰენდის, უილიამ ბრენანის, უორენ ბერგერის, რობერტ ჯექსონისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა სიტყვები უდავოდ საინტერესო იქნება სამართლებრივი და პოლიტიკური მოძღვრების თეორიით დაინტერესებულთათვის.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „თავისუფლების კანონი“ საინტერესო და აღქმადია არა მხოლოდ იურიდიული განათლების მქონეთათვის, არამედ თხრობის ფორმა, ანალიზის ლოგიკა და ინფორმაციის მიწოდების ხერხი, რომელსაც ავტორი კრებულში მიმართავს, მას გასაგებს ხდის უფრო ფართო საზოგადოებისთვისაც, რაც წიგნის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ მასში გაშუქებული საკითხები და მოსაზრებები ნამდვილად არ არის განკუთვნილი მხოლოდ იურისტთათვის.

დავით ბაზერაშვილი